- ბასს 24-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება ისეთი სუბიექტებისთვის გადახდილი თანხების წარდგენა, რომლებიც წარმოადგენენ წამყვანი მმართველი პერსონალის სერვისის მომწოდებლებს.
- ბასს 40-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, როგორ ხდება საინვესტიციო ქონების შეძენისას ფასს 3 და ბასს 40 სტანდარტების გამოყენება. ბასს 40 სტანდარტი გამოიყენება საინვესტიციო ქონებისა და მფლობელის მიერ დაკავებული ქონების გამიჯვნაში, ხოლო ფასს 3 იმის დადგენაში, არის თუ არა საინვესტიციო ქონების შეძენა კომპანიების შერწყმა (ბიზნეს კომბინაცია).
- ფასს 3-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ სამომავლო საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 3 მოქმედების სფერო არ მოიცავს საერთო მმართველობის ორგანიზაციის წარმოქმნის აღრიცხვას ამავე ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 8-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, მოითხოვს მენეჯმენტის მიერ საოპერაციო სეგმენტებზე გაერთიანების კრიტერიუმების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული მსჯელობის შენიშვნის სახით წარდგენას. ასევე შესწორება განმარტავს, რომ რეკონსილაცია საოპერაციო სეგმენტის სრულ აქტივებსა და კომპანიის აქტივებს შორის აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეგმენტის აქტივების წარდგენა ხდება რეგულარულად.
- ფასს 13-ი 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 13-ში არსებული

პორტფოლიოს გამონაკლისი, რომელიც აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება გაზომოს ნეტო ღირებულებით, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბასს 39 და ფასს 9 სტანდარტების მოქმედების სფეროში შემავალი ნებისმიერი კონტრაქტისთვის.

- ბასს 1-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა უფრო დეტალურ მითითებებს მატერიალურობასა და შეჯამებაზე, ქვეჯამების წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგებების სტრუქტურასა და სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენაზე.
- ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორება სახელწოდებით „ამორტიზაციისა და ცვეთის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოშვებულია 2014 წლის მაისში) - შესწორებები ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე სამომავლოდ შესწორებები იძლევა დამატებით მითითებებს და ამასთან განმარტავს, რომ:
 - შემოსავლის მეთოდით აქტივების ცვეთის გამოთვლა არ არის მისაღები, რადგან აქტივის გამოყენებით მიღებული შემოსავლის გამომუშავებაში ძირითადად სხვა ფაქტორები იღებენ მონაწილეობას გარდა აქტივის ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა;
 - შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია არამართებულ საფუძვლად ეკონომიკური სარგებლის საზომად არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში, თუმცა კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში შესაძლებელია ამ წესის უარყოფა.
- ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორება სახელწოდებით „სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მქონე მცენარეები (გამოცემულია 2014 წლის ივნისში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განსაზღვრავს ნაყოფის მქონე მცენარეებს (ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში ნაყოფის მისაღებად და, ძირითად შემთხვევაში, პროდუქტიული ვადის გასვლის შემდეგ ხდება მათი განადგურება) და მიაკუთვნებს მათ ბასს 16-ის მოქმედების სფეროს, თუმცა ნაყოფი, რომელსაც ეს მცენარეები იძლევა კვლავ რჩება ბასს 41-ის მოქმედების სფეროში.
- ბასს 19-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოიყენება საპენსიო სარგებლის განაკვეთის გამოთვლისას, უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რომელ ვალუტაშიც უნდა მოხდეს საპენსიო სარგებლის გადახდა.
- ბასს 27-ის შესწორება სახელწოდებით „კაპიტალის მეთოდი ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში“ (გამოცემულია 2014 წლის აგვისტოში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ადადგენს კაპიტალის მეთოდს და აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, გამოიყენონ ეს მეთოდი შვილობილ კომპანიებში, საერთო მმართველობის ორგანიზაციებსა და ასოცირებულ ორგანიზაციებში ჩადებული ინვესტიციების აღსარიცხად მათ საკუთარ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 5-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე პროსპექტულად, იძლევა დამატებით მითითებებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივის რეკლასიფიკაცია მფლობელზე გასაცემად გამიზნულ აქტივად ან პირიქით. შესწორება ასევე იძლევა დამატებით მითითებებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აქტივის აღრიცხვის შეწყვეტა.

- ფასს 7-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა დამატებით მითითებებს იმის დასადგენად, კვლავ იღებს თუ არა მონაწილეობას მომსახურების კონტრაქტი გადაცემულ აქტივში.
- ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები სახელწოდები „საინვესტიციო ორგანიზაციები: კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენება“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს საინვესტიციო ორგანიზაციებისა და მათი სუბსიდიებისთვის კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენების წესებს. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს რაიმე გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანია ჯერ არ იყენებს შემდეგ დამატებებს ან ცვლილებებს, რომლების გამოცემულია IASB-ს მიერ, თუმცა 2017 წლის პირველი იანვრიდან დაწყებული ფინანსური წლისთვის ჯერ ძალაში არ არის. მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ახალი სტანდარტების და შესწორებების გამოყენებას კომპანია დაიწყებს მათი ძალაში შესვლის დროს. კომპანიას, შესაბამისად, შეფასებული აქვს იმ ახალი სტანდარტებისა და შესწორებების პოტენციური გავლენა, რომლებიც ძალაში შევა მომავალ პერიოდებში.

- ბასს 7-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური აქტივობების შესახებ.
- ბასს 12-ის შესწორება (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს რეალური ღირებულებით აღრიცხულ სასესხო ინსტრუმენტთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარებას.
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.
- ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.
- ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

- ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.
- აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია გამოიყენებს IFRS 9-ს საკუთარ ანგარიშგებებში, როდესაც ეს გახდება სავალდებულო და რომ ახალი სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე. თუმცა, დეტალური გადახედვის დასრულებამდე არ არის პრაქტიკული განისაზღვროს აღნიშნული გავლენის გონივრული შეფასება.

- ფასს 16 „ლიზინგი“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია დაიწყებს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მაშინ, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ამ სტანდარტის გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავლების რაოდენობაზე. თუმცა, დეტალური განხილვის ჩატარების გარეშე რთულია აღნიშნული ეფექტის განსაზღვრა.

„სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი
(ათასი ლარი)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
საბალანსო ღირებულება					
31.12.2018	8,611	9	2,163	82	10,865
შემენა	-	1	28	4	33
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31.12.2019	8,611	10	2,191	86	10,898
ცვეთა					
31.12.2018	(175)	(7)	(1,284)	(54)	(1,520)
პერიოდის ცვეთა	(58)	(2)	(301)	(15)	(376)
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31.12.2019	(234)	(8)	(1,586)	(69)	(1,896)
ბალანსი 31.12.2018	8,436	2	879	28	9,345
ბალანსი 31.12.2019	8,377	1	605	18	9,002

6. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება საბალანსო ღირებულებებით

31-დეკ-2018	2,794
საინვესტიციო ქონების გადაფასება	-
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებებით	
31-დეკ-2019	-

კომპანია ფლობდა საინვესტიციო ქონებას, რომელსაც 2018 წლის განმავლობაში იყენებდა დანიშნულებისამებრ. 2019 წლის განმავლობაში არ მომხდარა საინვესტიციო ქონების გამოყენება. 2020 წლის აპრილში მოხდა ძირითადი საშუალებების უძრავი ქონების ჯგუფის გადაფასება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და საინვესტიციო ქონება კლასიფიცირდა ძირითად საშუალებად (მიწა და შენობა-ნაგებობები). შემფასებლის მიერ შეფასებული ძირითადი საშუალებების ხსენებული ჯგუფის ღირებულება დაემთხვა გადაფასების თარიღისათვის არსებულ არასაინვესტიციო შენობა-ნაგებობების ნარჩენი ღირებულების და საინვესტიციო ქონების ღირებულების ჯამს, აქედან გამომდინარე გადაფასების რეზერვის შექმნა არ გახდა საჭირო.

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სამედიცინო საქონელი	69	60
სხვა მარაგები	19	19
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	88	79

თვითღირებულებაში ხარჯად აღიარებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არის 316 ათასი ლარი (31-დეკ-2018: 453 ათასი ლარი).

„სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ათასი ლარი)

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	550	830
გაუფასურების ზარალის ანარიცხები	(263)	(218)
სხვა დებიტორული დავალიანება	-	49
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	287	661

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	45	63
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	-	-
ნაღდი ფული სალაროში	1	1
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	46	64

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 14,196 ათასი ლარით. 2019 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში განხორციელებულა ცვლილება და 31-დეკ-2019-ის მდგომარეობით შეადგინა: 12,920 ათასი ლარი.

11. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გრანტით მიღებულ ძირითად საშუალებებს. 31-დეკ-18 მდგომარეობით ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება და, შესაბამისად, გადავადებული შემოსავლის ნაშთი 656 ათასი (31-დეკ-2019: 423 ათასი ლარი, 01-იან-2019 656 ათასი ლარი).

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	272	273
გადასახდელი ხელფასები	1,224	1,020
მიღებული ავანსები	-	19
გადასახდელი გადასახადები	381	285
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,877	1,597

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

სამედიცინო მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება (გაწერა პაციენტი) დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლისგან.

14. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
საიჯარო შემოსავალი	60	68
შლაგბაუმი	11	14
სხვა არასამედიცინო შემოსავლები	22	68
სხვა შემოსავალი	272	268
სულ სხვა შემოსავალი	364	418

15. შრომის ანაზღაურება

კლინიკაში არსებობს ფიქსირებული და გამომუშავებული ხელფასი, რომელიც გაანგარიშდება პაციენტის მიერ სტაციონარში გატარებული დღეების, ამბულატორიული ვიზიტების, ჰონორარების და მორიგეობების მიხედვით. შრომის ანაზღაურება წარმოადგენს კომპანიის ხარჯების უდიდეს ნაწილს: 2019 წელი - 3,051 ათასი ლარი (2018 წელი - 3,410 ათასი ლარი).

16. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი,

რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 9) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელს მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ

	31-დეკ-2019 საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	31-დეკ-2018 საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	46	46	64	64
სავაჭრო და სხვა დებიტორული	287	287	661	661
დავალიანება				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული	1,877	1,877	1,597	1,597
დავალიანება				

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს; (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან.

მენეჯმენტის ანაზღაურება	2019	2018
დირექტორის ანაზღაურება	76	86
სულ	76	86

კლინიკის საბოლოო მფლობელია საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი სს „საპარტნიორო ფონდის“ სახით. შესაბამისად, სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები წარმოდგენენ კლინიკის დაკავშირებულ მხარეებს, მათ შორის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ახორციელებს ტრანზაქციებს კლინიკებთან.

ბასს 24-ის შესაბამისად, კლინიკა თავისუფლდება დაკავშირებულ მხარეებთან ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნისგან, რადგან შესაბამისი ტრანზაქციები და ვალდებულებები ეხება სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ანგარიშვალდებულ საწარმოზე. (პარაგრაფი 25)

20. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N 222 განკარგულებით კომპანიის 100 % -იანი წილი სიმბოლურად, 1 ლარი, ღირებულებით გადაეცა საქართველოს მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რათა მან უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს(ს/ნ 402157330)

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 ივლისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

25 ივლისი 2020
თბილისი, საქართველო

მენეჯმენტის ანაზღაურება	2019	2018
დირექტორის ანაზღაურება	76	86
სულ	76	86

კლინიკის საბოლოო შეფასებელია საქართველოს სახელმწიფო წარმოდგენილი სს „საპარტნიორო ფონდის“ სახით. შესაბამისად, სხვა სახელმწიფო კომპანიები და საბოლოო დაწესებულებები წარმოადგენენ კლინიკის დაკავშირებულ მხარეებს, მათ შორის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ახორციელებს ტრანზაქციებს კლინიკებთან.

ზასს 24-ის შესაბამისად, კლინიკა თავისუფლდება დაკავშირებულ მხარეებთან ინფორმაციის გაშლადების მოთხოვნისგან, რადგან შესაბამისი ტრანზაქციები და ვალდებულებები ეხება სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ასგარიშვალდებულ საწარმოს, ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ანგარიშვალდებულ საწარმოზე. (პარაგრაფი 25)

20. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დაკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 ივნისის N 222 განკარგულებით კომპანიის 100%-იანი წილი სიმშოლურად, 1 ლარი, ღირებულებით გადაეცა საქართველოს მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რათა მან უსასხიოდლო უზურფრუქტის უფლებითი სარგებლობაში გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო პოლიცეს(ს/წ 402157330).

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 ივლისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამკუბამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

25 ივლისი 2020

თბილისი, საქართველო



სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრის

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ
თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიში	3
-----------------------------	---

1. კომპანია და მისი დამუშნებლები	3
2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა და განვითარების გეგმა	3
3. ფინანსური რისკები და გაურკვევლობები	6
4. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	7
5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა	8

მმართველობის ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“ (კომპანია) დაარსდა 2013 წლის 18 ივლისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 405001466). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ #4.

2017 წლის 15 მარტამდე კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი იყო სს საპარტნიორო ფონდი, ხოლო 2020 წლის 13 თებერვლამდე კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი იყო შპს კლინიკების მართვის კომპანია, რომლის საბოლოო ერთადერთი მფლობელია საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი სს საპარტნიორო ფონდის შვილობილი კომპანიის შპს კლინიკების განვითარების კომპანიის სახით. 2020 წლის 13 თებერვალს კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი გახდა სახელმწიფო, წარმოდგენილი სს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახით, ხოლო 2020 წლის 6 მარტს კომპანიის აქციები მართვის უფლებით გადაეცა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა და განვითარების გეგმა

- კომპანია დაფუძნებულია ძველი ონკოლოგიური ცენტრის ბაზაზე, რომელიც მდებარეობდა ლისის ტბის მიმდებარედ. ონკოლოგიური ცენტრი დაარსდა 1977 როგორც „ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი“ და თავის დროზე იგი წარმოადგენდა ქვეყანაში ონკოლოგიის სტაციონარული და დისპანსერული ქსელის წამყვან დაწესებულებას (2010 წლამდე - დაახლოებით 700 საწოლით). 2012 წელს ცენტრის პრივატიზაციის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა ინვესტორის მიერ წარმოდგენილი განხორციელებადობის გეგმის ხარვეზების გამო, თუმცა შენობებში გარკვეული კონსტრუქციული სამუშაოები უკვე იყო ჩატარებული.
- ამჟამად კომპანია ფუნქციონირებს შენობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილში მისი საქმიანობის ძირითადი პროფილი ისევ ონკოლოგიური პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევაა. ონკოლოგიურ პაციენტებს ემსახურება ამბულატორია, ქირურგიის, ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებები. ცენტრში აგრეთვე ფუნქციონირებს პალიატიური მზუნველობის განყოფილება და ჰოსპისი, რომლებიც საქართველოში პირველად სწორედ აქ ამოქმედდა.

კომპანიის სტაციონარში პაციენტების განკარგულებაშია 111 საწოლი:

#	განყოფილებები	საწოლის რაოდენობა
1	სტაციონარული ქირურგია(აბდომინო- პროქტოლოგიური, უროლოგიური, თავისა და კისრის, თორაკალური, კანის, რბილი ქსოვილებისა და ძვლების ონკოლოგიის განყოფილება, გინეკოლოგიის, მამოლოგიისა და ბავშვთა ონკოლოგიის განყოფილება)	64

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2	ანესთეზიის, რენომაციის, საოპერაციო ბლოკის, ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება	26
3	პალიატიური მზრუნველობის განყოფილება	22
სულ	საწოლების რაოდენობა	111

- კომპანიის საკუთრებაშია მიწა (ფართობი 6.1852 ჰა) და შენობა ნაგებობები (საერთო ფართობი 31,617 კვ მ). მათი ძირითადი ნაწილი გამოუყენებელია. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს წიწვოვან ტყე-პარკს.
- ცენტრში თანამშრომელთა რაოდენობა 2019 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 282-ს. კლინიკას ფილიალები არ გააჩნია.
- სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ განვითარების კონცეფციასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმებზე მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ძირითადი მაჩვენებლები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2019	31.12.2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8,377	6,550
სხვა ძირითადი საშუალებები	624	-
საინვესტიციო ქონება		2,794
სულ გრძელვადიანი აქტივები	9,001	9,344
მოკლევადიანი აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	88	79
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	287	661
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	47	64
სულ მოკლევადიანი აქტივები	422	804
სულ აქტივები	9,423	10,148
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	14,235	14,196
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	(7,112)	(6,301)
სულ საკუთარი კაპიტალი	7,123	7,895
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გადავადებული შემოსავალი	423	656
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	423	656
მოკლევადიანი ვალდებულებები		
ანარიცხები სამართლიანი დავებისთვის	-	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,877	1,597
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,877	1,597
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	9,423	10,148

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2019	2018
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	3,016	4,053
სხვა შემოსავალი	364	418
სულ შემოსავალი	3,380	4,471
შრომის ანაზღაურება	(3,051)	(3,410)
სამედიცინო საქონელი	(316)	(454)
ცვეთა და ამორტიზაცია	(376)	(509)
კომუნალური ხარჯი	(212)	(247)
რემონტის ხარჯი	(6)	(53)
საექვო ვალუების ცვლილება	(50)	(69)
სხვა ხარჯი	(180)	(180)
მიმდინარე წლის ზარალი დაბეგვრამდე	(811)	(451)
მიმდინარე წლის ზარალი	(811)	(451)
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი	(811)	(451)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2018
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,420	4,361
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(3,410)	(4,324)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	10	37
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
მიღებული პროცენტი	-	-
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	10	37
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შეწესბუთება	(66)	(11)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(66)	(11)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	39	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	39	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	(56)	26
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	64	38
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	47	64

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს შესწორებული	14,196	(5,850)	8,346
2018 წლის სრული ზარალი შესწორებული	-	(451)	(451)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის შესწორებული	14,196	(6,301)	7,895
2019 წლის სრული ზარალი	39	(811)	(772)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის	14,235	(7,112)	7,123

3. ფინანსური რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

კლინიკის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი, ასევე მოსალოდნელი საფრთხეებისა და ზიანის შემცირება.

1) საოპერაციო რისკები

1	მედიკამენტების და სახარჯი მასალის ფასების ზრდა	ა) ძირითადი ნოზოლოგიური ერთეულების მიხედვით მკურნალობის გაიდლაინებისა და პროტოკოლების გადახედვა, ახალი სტანდარტების შემუშავება. მკურნალობის ახალი ხარჯთეფექტური მეთოდების მოძიება.
		ბ) მედიკამენტების და სახარჯი მასალის ხარჯვის ოპტიმიზაცია
		გ) მედიკამენტებისა და სახარჯი მასალის შესყიდვა ტენდერით, რაც უზრუნველყოფს დაბალ ფასსა და ფასის შენარჩუნებას დაახლოებით 1 წლის მანძილზე

2	წყლის, ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ტარიფების ზრდა	წყლის, ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯვის მკაცრი კონტროლი.
3	აპარატურისა და აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლა, სახარჯი მასალისა და სათადარიგო ნაწილების დეფიციტი	ა) აპარატურისა და აღჭურვილობის ექსპლოატაციის საინჟინრო კონტროლი.
		ბ) თანამშრომელთა პერიოდული ტრენინგი აპარატურის ექსპლოატაციის წესებთან დაკავშირებით
		ე) უწყვეტი და სტაბილური ელექტრო-მომარაგების უზრუნველყოფა.

2) კომპანია ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება კომპანიის რეპუტაციაზე. კომპანიაში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა კომპანიამ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს.

3) ცენტრი ჩართულია საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში. ცენტრის შემოსავლების დაახლოებით 51% მიღებულია საყოველთაო დაზღვევის პროგრამით. არსებული კანონმდებლობით თვეში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მიღება თვის დასრულებიდან დაახლოებით 4 თვის შემდეგ ხდება, რის გამოც სახელფასო და კრედიტორული დავალიანებები დროულად ვერ იფარება. საქართველოში სამედიცინო მომსახურების სფეროში მაღალი კონკურენციაა. ამ სფეროში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო რეგულირებასა და ამ სფეროსთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ბიუჯეტს. გარკვეული სამთავრობო ორგანოების წარმომადგენლები მოითხოვენ რეგულაციების გამკაცრებას სამედიცინო მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად. რეგულაციების გამკაცრება დადებითად აისახება ცენტრის ბიზნესზე, რადგან ანალოგიური სპეციფიკის კლინიკა, შესაბამისი კადრებით, ონკოლოგიის სრული სპექტრის მოცვით ქვეყნის მასშტაბით სულ რამდენიმეა. შედარებისთვის, 2019 წლის ბოლოსთვის ონკოლოგიის ლიცენზია ქვეყნის მასშტაბის 100-ზე მეტ კლინიკას აქვს.

4. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია,


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი არის 14,235,317 ლარი, რაც შეადგენს 14,235,317 ცალ ჩვეულებრივ აქციას ნომინალური ღირებულებით ერთი ცალი აქცია 1 ლარი. აქციათა 100%-ის მფლობელი გახდათ შპს კლინიკების განვითარების კომპანია (405192795). კომპანიას არ მოუხდენია აქციების ემისია ან გამოსყიდვა საანგარიშო წლის განმავლობაში.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

კომპანიის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. მათი ნაშრომები იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალებში. კომპანია აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში. კომპანიისა და თანამშრომლების ასეთი აქტიურობა საშუალებას იძლევა კომპანიის ექიმებმა მაქსიმალურად აიმაღლონ პროფესიონალური დონე და თავის საქმიანობაში გამოიყენონ მედიცინის სფეროს უახლესი მიღწევები.

გიორგი ენუქიძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“

მმართველობითი ანაგრიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობითი ანგარიშგების დასკვნა**მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტისგათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ თანმხლები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

გოჩა ჭოლოკავა



სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

25 ივლისი, 2020 წელი